

*ხელნაწერის უფლებით*

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

**გიორგი გოგიშვილი**

**გულის იშემური დაავადებების თავისებურებები და  
პროგნოზირება 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენლი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

თბილისი

2022

## შესავალი

### თემის აქტუალობა

გულის იშემიური დაავადებები(გიდ) დღემდე რჩება სიკვდილობის მთავარ მიზეზად მსოფლიოში. იგი ძნელად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს არა მარტო კლინიკური კარდიოლოგიის, არამედ ეპიდემიოლოგიის, სოციალური მედიცინის, ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებისათვის[Sehestedt T, 2010; Global Burden of Disease Study, 2018].

პაციენტები, რომელთა შორის გულის იშემიურმა დაავადებამ (IHD) ახალგაზრდა ასაკში იჩინა თავი, განსხვავდებიან ასაკოვნებისაგან რისკ ფაქტორების სტრუქტურით, კლინიკური გამოვლინებებით და დაავადების პროგნოზით. ბოლო პერიოდში, გიდ-ის განვითარების ტრადიციული რისკ ფაქტორების გარდა, განიხილეს ნიშნების უფრო ფართო სპექტრი, რომლებიც დაკავშირებულია მწვავე კორონარული სინდრომის ადრეულ განვითარებასთან [Ponomarenko IV et al.,2019]. რიგი ავტორების მონაცემებით, ახალგაზრდა პაციენტებში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის სიხშირე 2-დან 10% -მდე მერყეობს [Morillas P., et al. 2007]. ახალგაზრდა ასაკში სუსტად არის განვითარებული კოლატერალური სისხლის მიმოქცევა, რაც ართულებს დაავადების შედეგს [ჩიგოგიძე, მ., ., et al.,2020].

ლიტერატურის მიხედვით CVD-ს ყველაზე გავრცელებული ფსიქოსოციალური რისკის ფაქტორები იყო სტრესი, დეპრესია, შფოთვა, დაბალი ფიზიკური აქტიურობა და დაბალი სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა. რისკის ფაქტორებში ასევე განიხილება ჰიპერტენზია, მოწევა, სიმსუქნე, გიდ-ის ოჯახური შემთხვევები, ცხოვრების ხარისხი და ძილის დარღვევები [Saleem, M., et al., 2020]. ახალგაზრდა პაციენტებში AMI ხშირად ვითარდება შაქრიანი დიაბეტის ფონზე (DM) [Popov S.V., et al. 2020].

რამდენიმე მოხსენების თანახმად, ABO სისხლის ჯგუფის სისტემა ასოცირდება CAD- ის რისკთან [Zhang, H., 2012.]

ABO გენი განლაგებულია 9q34 ქრომოსომაში 3 ვარიანტიანი ალელით (A, B და O), რომელიც აკოდირებს სხვადასხვა სუბსტრატის სპეციფიკის მქონე გლიკოზილტრანსფერაზებს და განსაზღვრავს სისხლის ჯგუფს [Reid ME, 2004]. სისხლის ჯგუფები იცვლება პოპულაციების მიხედვით, აგრეთვე სხვადასხვა ასოციაციები დაავადებებსა და სისხლის ჯგუფებს შორის.

დაფიქსირდა ასოციაცია ABO სისხლის ჯგუფსა და კორონარული არტერიების დაავადების სიმძიმეს შორის არასტაბილურ სტენოკარდიის დროს, არა O ჯგუფებთან შედარებით, O ჯგუფს ჰქონდა უფრო მძიმე კორონარული არტერიის მონაწილეობა ( $P = 0.004$ ) [Omidi N. , et al., 2017]. A ჯგუფის ჯგუფი დამოუკიდებელი რისკის ფაქტორია CAD და MI-სთვის ტაივანის ახალგაზრდებში.

არა-O ჯგუფი ჯგუფი ასოცირდება სიკვდილიანობის მატებასთან იტალიელ პაციენტებში გულის იშემიური დაავადებით. არა – O ჯგუფი ზრდის გულის სიკვდილის რისკს ახალგაზრდა პაციენტებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებში, ხოლო კონკრეტულად A და B ჯგუფები ჭარბობს მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე ახალგაზრდებში. ABO ჯგუფის განსაზღვრამ შესაძლოა ხელი შეუწყოს გულის იშემიური დაავადების გენეტიკურ სკრინინგს და გახდეს მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორების კონტროლის პროცესში [Carpeggiani C. 2010.].

ხორვატიის CAD-ის მქონე პაციენტებში არანაირი კავშირი არ აღინიშნება ABO სისხლის ჯგუფებსა და კორონარული ათეროსკლეროზის მასშტაბებს შორის [Karabuva S, ., et al.,2013;], ხოლო ნეპალის მოსახლეობაში სისხლის O ჯგუფი ზრდის მწვავე კორონარული სინდრომის რისკს [Pathak, ., et al.,2020].

იმ დროს, როდესაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (CVD) მაჩვენებლების რისკს საზღვრავენ 40 წელზე უფროსი ასაკის პირებში, კარდიო-ვასკულარული სისტემის დაზიანებები ვლინდება გაცილებით ადრე. CVD პრედიქტორებს შორის მეტაბოლიზმის როლის შესახებ არა ერთი კვლევის მიუხედავად, ახალგაზრდა პოპულაციებში მეტაბოლური რისკის ზუსტი ფენოტიპების განსაზღვრის კვლევები არ არსებობს [Murthy, V. L., et al. 2020].

კორონარული არტერიის ნაადრევი დაავადება ხასიათდება არახელსაყრელი ლიპიდური პროფილით, HDL-C დაბალი კონცენტრაციით და ტრიგლიცერიდების მაღალი დონით, მაღალი Lp (a) და ჰიპერკოაგულაციური მდგომარეობით (მაღალი ფიბრინოგენისა და D- დიმერის დონეებთან) ერთად [Pineda J, 2009] .

ლიპოპროტეინების მეტაბოლიზმის დარღვევა წარმოადგენს ათეროსკლეროზული კარდიოვასკულარული დაავადების (ASCVD) მნიშვნელოვან და მოდიფიცირებად რისკის ფაქტორს [ Yusuf S. , , et al., 2004]. მრავალი კვლევით დადგენილია, რომ ლიპიდური ცვლის დარღვევა იწვევს ცუდ კარდიოვასკულარულ გამოსავალს [Brewer H.B. 2016]. დისლიპიდემიის გავრცელება ახალგაზრდებში განსხვავებულია რეგიონების მასშტაბით, მაგრამ მოსალოდნელზე სწრაფად იზრდება. აშშ-ში 20-დან 29 წლამდე მოზრდილების დაახლოებით 36% და 30-დან 39 წლამდე ასაკის 43% აკმაყოფილებს ლიპიდების პათოლოგიური დონის კრიტერიუმებს, როგორც ეს განსაზღვრულია ქოლესტერინის ეროვნული სასწავლო პროგრამით [ Chou R, 2016 ] .

საერთო ქოლესტერინის (TC), ტრიგლიცერიდის (TG) და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტერინის (LDL-C) კონცენტრაციების გაზრდა აღიარებულია როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ფაქტორები, ხოლო მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინული ქოლესტერინის კონცენტრაცია (HDL-) გ) ითვლება კარდიოპროტექტორულად [ Nagao M. , , et al., 2018]. თუმცა, რამდენიმე ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ლიპიდებთან დაკავშირებული კოფეციენტები, როგორცაა TC / HDL-C, TG / HDL-C და LDL-C / HDL-C, შეიძლება იყოს CVD რისკის უკეთესი პროგნოზული მაჩვენებლები [Kastelein JJ., et al., 2008]. გარდა ამისა, ქოლესტერინის ეროვნული სასწავლო პროგრამის მოზრდილთა სამკურნალო ჯგუფმა რეკომენდაცია მისცა არა-მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტერინის (HDL-C) გამოყენებას თერაპიის მეორად მიზნად და კვლევამ აჩვენა, რომ არა –HDL-C სხვა ლიპიდურ პარამეტრებთან შედარებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული CVD– სთან [Blaha MJ., et al., 2008].

ავადობის რისკის სტრატეფიკაციისას აუცილებელია პოპულაციური თავისებურებების გათვალისწინება.

კვლევის მიზანია გულის იშემური დაავადებების თავისებურებების შესწავლა და პროგნოზირება 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში.

### **ჩვენი კვლევის მიზანია**

გულის იშემური დაავადებების თავისებურებების შესწავლა და პროგნოზირება 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში.

### **ამოცანები**

1. გიდ-ის მახასიათებლების შესწავლა 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში;
2. ლიპიდური სპექტრის მახასიათებლების შესწავლა და მგრძნობელობის, სპეციფიურობისა და დიაგნოსტიკური ღირებულების დადგენა;
3. გიდ-ის პრედიქტორთა შეფასება ალტერნატიული ანალიზის გამოყენებით;
4. კორელაციური კავშირის დადგენა დაავადების პრედიქტორებს შორის;
5. დაავადებისადმი გენეტიკური წინასწარგანწყობის განსაზღვრა და ასოციაციების დადგენა სისხლის ABO მარკერებთან;
6. გიდ-ის გენდერული თავისებურებების დადგენა ახალგაზრდა ასაკში;
7. ახალგაზრდა ასაკში გულის იშემიური დაავადების რისკის პროგნოზირების სისტემის შემუშავება ქართული პოპულაციისათვის.

### **სამეცნიერო სიახლე**

პირველად 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში ჩატარდა;

1. გიდ-ის მახასიათებლების შესწავლა
2. ლიპიდური ინდექსების შესწავლა და მგრძნობელობის, სპეციფიურობისა და დიაგნოსტიკური ღირებულების დადგენა;

3. გიდ-ის პრედიქტორთა შეფასება ალტერნატიული ანალიზის გამოყენებით;
4. კორელაციური კავშირის დადგენა დაავადების პრედიქტორებს შორის;
5. დაავადებისადმი გენეტიკური წინასწარგანწყობის განსაზღვრა გენეალოგიური ანალიზის საშუალებით და ასოციაციების დადგენა სისხლის ABO მარკერებთან;
6. გულის იშემიური დაავადების ფარდობითი შანსის განსაზღვრა თითოეული ფაქტორისათვის

### **პრაქტიკული ღირებულება**

დისერტაციის შედეგები ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში გულის იშემიური დაავადების რისკის განსაზღვრას და არაკეთილსაიმედო გამოსავლის თავიდან აცილებას მოდიფიცირებადი რისკის ფაქტორების მართვის გზით. აგრეთვე შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას ახალგაზრდა პირებში დაავადების რისკის შემცირების თვალსაზრისით.

### **პუბლიკაციები და აპრობაცია:**

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის 3 საერთაშორისო მიმოქცევაში მყოფ იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში. დისერტაციის შედეგები მოხსენებულია საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაზე (The First International Scientific – Practical Virtual Conference "Science and Technology in Modern Society: Problems, Prognoses and Solutions." Stambul, 26.09.2020-27.09.2020)

### **სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა**

ნაშრომი წარმოდგენილია 141 გვერდზე და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, საკუთარი კვლევის შედეგები, მიღებული შედეგების ანალიზი, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები. გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც მოიცავს 213 წყაროს. შედეგები ასახულია 23 დიაგრამასა და 20 ცხრილში.

## თავი II

### კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევაში მონაწილეობდა 107 ახალგაზრდა პაციენტი (18-დან 44 წლამდე), გულის იშემიური დაავადებით, რომლებიც მკურნალობდნენ წმინდა იოანე მოწყალე პრიატ კლინიკის კარდიოლოგიურ განყოფილებაში. საშუალო ასაკი იყო  $(34,68 \pm 6,2)$  წელი. საკონტროლო ჯგუფი იყო 199 ჯანმრთელი მოხალისე, გულსისხლძარღვთა დაავადებების გარეშე, 18-დან 44 წლამდე ასაკში, საშუალო ასაკი -  $(35,9 \pm 5,2)$  წელი. ყველა პაციენტში შეფასდა ტრადიციული რისკის ფაქტორები, ჩატარდა სტანდარტული ზოგადი კლინიკური და ბიოქიმიური კვლევები. ავადმყოფებს უტარდებოდათ სისხლში ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების - საერთო ქოლესტერინი (TC), მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (HDL-C), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (LDL-C) და ტრიგლიცერიდების (TG), mmol/L გამოკვლევა

შევისწავლეთ  $\text{non-HDL-C} = \text{TC} - \text{HDL-C}$  ინდექსის დიაგნოსტიკური ღირებულება შევისწავლეთ ჰემატოლოგიური ინდექსები: ლეიკონტოქსიკაციური; და ნეიტროფილურ/ლიმფოციტური;

შევისწავლეთ შემდეგი ფაქტორთა ჯგუფები: ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, მავნე ჩვევები, კვების ტიპი, ანამნეზი, ექოსკოპიური, კორონაროგრაფიული, ბიოქიმიური, კლინიკურ-ლაბორატორიული მაჩვენებლები, სისხლის ჯგუფი და რეზუსი, თანდართული დაავადებები, გულსისხლძარღვთა სხვა დაავადებები, გენეტიკური დატვირთვა, გადატანილი პროცედურები და ოპერაციული ჩარევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ.

**სტატისტიკური ანალიზი:** რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ვსაზღვრავდით საშუალოს და საშუალო კვადრატულ გადახრას, ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის სინშირეს და %-ს. სარწმუნო განსხვავებას რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ვსაზღვრავდით სტუდენტის t კრიტერიუმით დამოუკიდებელი მაჩვენებლებისათვის, ხოლო ხარისხობრივის შემთხვევაში - ფიშერის F კრიტერიუმით.

განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, როდესაც  $p < 0.05$ . ფარდობითი შანსის გამოსათვლელად გამოვიყენეთ მულტივარიაციული ბინარული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი, როკ ანალიზის გამოყენებით განვსაზღვრეთ ლიპიდური ინდექსების მგრძობელობა და სპეციფიურობა ახალგაზრდებში გიდ-ის დროს. ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი დადგინდა კორელაციური ანალიზის საშუალებით - სპირმენის ტესტით; სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა SPSS 23-ის გამოყენებით.

### თავი III

#### 3.1. საკუთარი მასალის დახასიათება

პაციენტთა უმრავლესობას დაავადება გამოუვლინდა 34-40 წლის ასაკში, თუმცა ერთ პაციენტს, რომელსაც აღენიშნებოდა გენეტიკური დატვირთვა, დაავადება გამოუვლინდა 13 წლის ასაკში.

გიდის მქონე პირებს შორის სარწმუნოდ მაღალია კაცების სიხშირე, მაშინ როდესაც საკონტროლო ჯგუფში სქესის მიხედვით განსხვავება არ აღინიშნა.

პაციენტთა შორის უმრავლესობა მარტოხელაა, მაშინ როდესაც კონტროლში სჭარბობს დაოჯახებული პირები.

#### 3.2. ასოციაციები ABO სისხლის ჯგუფებსა და გულის იშემიურ დაავადებებს შორის 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში.

გიდ-ის ადრეული გამოვლენა დაკავშირებულია გენეტიკურ წინასწარგანწყობაზე.

გენეტიკური მიდრეკილების როლის შევსწავლამ გულისსახლმარღვთა დაავადებების განვითარებაში 45 წლამდე ასაკის საქართველოს მოსახლეობაში აჩვენა, რომ პაციენტთა 21,6%-ში (19 პაციენტი), პირველი ხარისხის ნათესავეებს შორის დაფიქსირდა გულის იშემიური დაავადების ადრეული გამოვლენა (45 წლამდე ასაკში).

ABO სისხლის იზოანტიგენების გამოკვლევამ აჩვენა, რომ 0 ჯგუფის სიხშირე მაღალია როგორც საკვლევ ჯგუფში, ასევე საკონტროლო ჯგუფში, ამასთან, 0 ჯგუფი სარწმუნოდ ასოცირდება



გულსისხლძარღვთა დაავადებების ადრეულ განვითარებასთან (ცხრილი 3.2.1).

ცხრილი 3.2.1. სისხლის ჯგუფების განაწილება CVD- ით დაავადებულ პაციენტებში და კონტროლი

		0	A	B	AB	$\chi^2(0/A)$	$\chi^2(0/A+B+AB)$
პაციენტები	n	80	25	2	0	14.11, p<0.001	24.88, p<0.001
გიდ-ით	%	74.77	23.36	1.87	0.00		
კონტროლი	n	713	529	143	17		
	%	50.86	37.73	10.20	1.21		

კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩვენ შევადარეთ გიდის რისკის მახასიათებლები 0 და A ჯგუფების მიხედვით (ცხრილი 3.2.2).

ცხრილი 3.2.2. გიდის რისკის მახასიათებლების შეფასება 0 და A სისხლის ჯგუფების მიხედვით.

ფაქტორები	0 ჯგუფი, N=81	A ჯგუფი, N=24	t ან F	P
	Mean± SD ან n(%)	Mean± SD ან n(%)		
ჰიპერტენზია	53(65.43%)	15(62.50%)	0.07	0.794
შაქრიანი დიაბეტი	11(13.58%)	0(0.00%)	3.70	0.057
დისლიპიდემია	38(46.91%)	5(20.83)	5.38	0.022
დაავადების გამოვლენის ასაკი	34.31±6.93	34.88±5.67	-0.41	0.685
მასის ინდექსი	32.05±5.44	29.38±4.20	2.55	0.014
Totol მმ / ლ	5.24±1.30	4.62±1.00	2.45	0.018
TG	2.84±1.57	1.83±0.70	3.05	0.002
LDL	3.30±1.34	2.71±0.97	2.37	0.021
HDL	1.27±0.48	1.20±0.28	0.92	0.360
INR	1.13±0.40	1.09±0.29	0.53	0.598

პროთრომბინის ინდექსი	97.91±10.69	97.20±11.83	0.26	0.797
ფიბრინოგენის კონცენტრაცია	368.33±114.75	397.48±139.45	-0.86	0.398
ტროპონინი ნგ / მლ	91.93±123.49	35.78±86.73	1.80	0.076
შრატის კრეატინინი მმოლ / ლ	101.73±69.88	98.70±54.06	0.15	0.880
TSH	1.55±1.29	1.93±1.30	-1.21	0.233
გლუკოზა	5.05±2.62	4.91±1.16	0.25	0.803
SCORE	4.46±3.15	2.42±2.45	2.92	0.004

0 ჯგუფის შემთხვევაში დისლიპიდემიის სიხშირე სარწმუნოდ მაღალია, A ანტიგენის მქონე პაციენტებთან შედარებით. დიაბეტი გვხვდება მხოლოდ 0 ჯგუფის შემთხვევაში, ჰიპერტენზიის მიხედვით ჯგუფებს შორის სარწმუნო განსხვავება არ აღმოჩნდა. 0 ჯგუფის შემთხვევაში, A ჯგუფთან შედარებით, სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია: მასის ინდექსი, Tchol და TG, ხოლო სარწმუნოდ დაბალია საშუალო LDL.

ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა ისეთი რისკის ფაქტორების მიხედვით, როგორებიცაა INR, პროთრომბინის ინდექსის, ფიბრინოგენის კონცენტრაციის, ტროპონინის, შრატის კრეატინინის, TSH და გლუკოზის საშუალო მნიშვნელობები.

გულ – სისხლძარღვთა დაავადებების ფატალური გამოსავლის 10 – წლიანი რისკი(SCORE–ს მიხედვით) მნიშვნელოვნად მაღალია 0 ჯგუფის მქონე პაციენტებში, ვიდრე A ჯგუფში.

### **3.3. ლიპიდური ინდექსების დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასება გულის იშემური დაავადებების მქონე 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში.**

გულის იშემური დაავადებების რისკის ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიპიდური სპექტრის მახასიათებლებს. (ცხრილი 3.3.1)

ცხრილი 3.3.1. ლიპიდური სპექტრის შეფასება გიდ-ით დაავადებულ პაციენტებსა და საკონტროლო ჯგუფს შორის

ლიპიდები	გიდ(107)	გიდის გარეშე (199)	t	P
TC (mmol/L)	5.21±1.28	4.65±1.23	3.73	0.0002
TG (mmol/L)	3.52±1.43	2.84±0.87	5.15	0.0000
LDL(mmol/L)	3.10±1.23	2.64±0.43	4.74	0.0000
HDL(mmol/L)	1.23±0.42	1.60±0.36	-7.81	0.0000

კვლევამ აჩვენა, რომ გიდ-ით დაავადებულ პაციენტებში, საკონტროლოსთან შედრებით სარწმუნოდ არის მომატებული საერთო ქოლესტერინი Tchol და LDL და სარწმუნოდ ნაკლებია HDL.

დიაგრამაზე ჰორიზონტალურად იზომება მგძნობელობა, ხოლო ვერტიკალურად 1-სპეციფიურობა. რაც მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი, მით მეტია ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულება.

კვლევამ აჩვენა, რომ გიდ-ით დაავადებულ პაციენტებში, საკონტროლოსთან შედრებით სარწმუნოდ არის მომატებული საერთო ქოლესტერინი Tchol და LDL და სარწმუნოდ ნაკლებია HDL. კვლევის შემდეგ ეტაპზე შევადარეთ ლიპიდური ინდექსები პაციენტებს IHD და საკონტროლო ჯგუფს შორის (ცხრილი 3.3.3).

ცხრილი 3.3.2. ლიპიდური ინდექსების შეფასება გიდ-ით დაავადებულ პაციენტებსა და საკონტროლო პირები.


	საკვლევი ჯუფი		კონტროლი		t	p
	(107)		(199)			
	Mean	StD	Mean	StD		
(TC-HDL)/HDL	3.59	1.68	2.02	1.04	10.03	0.0000
TG/HDL	3.11	1.52	1.85	0.68	9.98	0.0001
LDL/HDL	2.74	1.36	1.70	0.42	9.93	0.0000
TC-HDL	3.97	1.32	3.05	1.30	5.91	0.0000

ლიპიდური ინდექსების შესწავლამ აჩვენა, რომ გიდ-ით დაავადებულ პაციენტებში, TC-HDL/HDL, TG/HDL და LDL/HDL-ის მიხედვით აღინიშნებოდა სარწმუნოდ მაღალი მაჩვენებლები, ვიდრე საკონტროლო


ჯგუფში. აგრეთვე საკონტროლოსთან შედრებით სარწმუნოდ არის მომატებული Non-HDL, რამაც საშუალება მოგვცა როკ ანალიზის საშუალებით განგვესაზღვრა ამ ინდექსების მგრძობელობა და სპეციფიკურობა.

ლიპიდური ინდექსების მგრძობელობა და სპეციფიკურობა მოცემულია დიაგრამებზე როკ-მრუდის საშუალებით და ცხრილი 3.3.4-ში.


დიაგრამაზე ჰორიზონტალურად იზომება მგრძობელობა, ხოლო ვერტიკალურად 1-სპეციფიკურობა. რაც მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი, მით მეტია ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულება.




დიაგრამა 3.3.1. (TC-HDL)/HDL



დიაგრამა 3.3.2. TG/HDL



დიაგრამა 3.3.3. LDL/HDL



დიაგრამა 3.3.4. Non-HDL

რაც უფრო მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი, მით უფრო სანდოა ტესტი მეტია მრუდის ქვემოთ ფართობი ოთხივე ინდექსისათვის წარმოდგენილია ცხრილი 3.3.4-ში

ცხრილი 3.3.4. მრუდის ქვემო ფართობი

ცვლადები	Area	Std.	p	95% CI	
(TC-HDL)/HDL	0.805	0.026	<0.0001	0.753	0.856
LDL/HDL	0.749	0.034	<0.0001	0.681	0.816
TG/HDL	0.784	0.029	<0.0001	0.727	0.841
Non HDL	0.696	0.031	<0.0001	0.636	0.756

მრუდის ქვემოთ მდებარე ფართობი ოთხივე შემთხვევაში მიუთითებს საშუალო დიაგნოსტიკურ ღირებულებაზე. დიაგნოსტიკური ღირებულება - (TC-HDL) / HDL- სთვის ძალიან კარგია, TG / HDL- ისთვის და LDL / HDL- სთვის კარგია.

ROC ანალიზის საფუძველზე და რეგრესიული ანალიზის დახმარებით, ჩვენ დავადგინეთ ჭეშმარიტად დადებითი, ცრუ დადებითი, ჭეშმარიტად უარყოფითი და ცრუ პოზიტიური შემთხვევები ლიპიდური ინდექსების შეფასებისას, როგორც დიაგნოსტიკური ტესტი IHD- სთვის(ცხრილი 3.3.5).

ცხრილი 3.3.5.ტესტის დადებითი და უარყოფითი პასუხების შეფასება

ლიპიდური ინდექსები		ჭეშმარიტად დადებითი	ცრუ დადებითი	ცრუ უარყოფითი	ჭეშმარიტად უარყოფითი
(TC-HDL)/HDL	n	88	67	19	132
	%	28.76	21.90	6.21	43.14
TG/HDL	n	57	16	50	183
	%	18.63	5.23	16.34	59.80
LDL/HDL	n	64	25	43	174

	%	20.92	8.17	14.05	56.86
Non HDL	n	89	97	18	102
	%	29.08	31.70	5.88	33.33

ამ მონაცემების მიხედვით, ჭეშმარიტად დადებითი შემთხვევების წილი მაღალია (TC-HDL)/HDL-ისა და Non HDL-ისათვის, ხოლო ჭეშმარიტად უარყოფითი შემთხვევების წილი - TG/HDL-ისა და LDL/HDL ლიპიდური ინდექსების როგორც სადიაგნოსტიკო ტესტის დიაგნოსტიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში დიაგნოსტიკური ღირებულება მოცემულია ცხრილში

ცხრილი 3.3.4.ლიპიდური ინდექსების დიაგნოსტიკური მახასიათებლები

		მგრძნობე ლობა	სპეციფი ურობა	დადები თი შედგის პროგნო ზული ღირებუ ლება	უარყოფ ითი შედგის პროგნო ზული ღირებუ ლება	დიაგნოსტ იკური სიზუსტე
(TC- HDL)/ HDL	მნიშვნე ლობა	0.822	0.663	0.568	0.874	0.719
	95%CI	0.750	0.598	0.490	0.821	0.669
		0.895	0.729	0.646	0.927	0.769
TG/H DL	მნიშვნე ლობა	0.533	0.920	0.781	0.785	0.784
	95%CI	0.438	0.957	0.686	0.733	0.738
		0.627	0.882	0.876	0.838	0.830

LDL/ HDL	მნიშვნე ლობა	0.598	0.874	0.719	0.802	0.778
	95%CI	0.505	0.828	0.626	0.749	0.731
		0.691	0.920	0.812	0.855	0.824
Non HDL	მნიშვნე ლობა	0.832	0.513	0.478	0.850	0.624
	95%CI	0.761	0.443	0.407	0.786	0.570
		0.903	0.582	0.550	0.914	0.678

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩვენს მიერ შესწავლილ პოპულაციაში, IHD ახალგაზრდებისთვის, TC-HDL/HDL გამოირჩევა კარგი მგრძობელობით და საკმარისი სპეციფიკურობით, TG/HDL - ცუდი მგრძობელობა და ძალიან კარგი სპეციფიკურობით, LDL/HDL - დამაკმაყოფილებელი მგრძობელობით და კარგი სპეციფიკურობით, non-HDL ტესტი გამოირჩევა ძალიან კარგი მგრძობელობით და დაბალი სპეციფიკურობით, დაბალი დადებითი შედეგის პროგნოზული ღირებულებით და ძალიან კარგი უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულებით, ხოლო დიაგნოსტიკური სიზუსტე დამაკმაყოფილებელია.

გიდ-ით დაავადებულ 45 წლამდე პოპულაციაში, (TC-HDL)/HDL-ისთვის ზღვრული მნიშვნელობა = 2,29, TG/HDL-ისთვის, = 2,76, LDL/HDL-ისთვის - 2,17, ხოლო Non-HDL-ის ზღვრული მნიშვნელობა Cut of =2.89.

ამ მონაცემებზე მაღალი ლიპიდური ინდექსები - (TC-HDL) / HDL, TG / HDL, LDL / HDL წარმოადგენენ გულის იშემიური დაავადების მაღალ რისკს, ხოლო ზღვრულ მნიშვნელობაზე მეტი Non-HDL კი მიუთითებს გიდ-ის რისკის შემცირებაზე.

ამრიგად, ლიპიდების ინდექსები (TC-HDL) / HDL, TG / HDL, LDL / HDL და Non-HDL შეიძლება გამოყენებულ იქნას გულის იშემიური დაავადების პირველადი დიაგნოზისთვის 45 წლამდე ქართულ პოპულაციაში როგორც რისკის დამატებითი მაჩვენებელი.

### 3.4.ჰემატოლოგიური ინდექსების ინფორმატიულობა გიდ-ის დროს 45 წლამდე ახალგაზრდებში

სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლები მოცემულია 3.4.1.ცხრილში

ცხრილი 3.4.1.სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობები პაციეტა შორის

Descriptive Statistics					
	N	Min.	Max.	Mean	SD
INR	107	0.77	6.10	1.16	0.61
პროთრომბინის ინდექსი	107	71.60	126.20	97.74	10.89
ფიბრინოგენის კონცენტრაცია	80	180.00	700.00	374.03	120.86
ტროპონინი ng/ml	94	0.00	354.00	65.53	111.39
შრატის კრეატინინი mmol/l	61	46.00	370.00	100.59	66.01853
TSH	102	0.00	6.90	1.62	1.28
გლუკოზა	104	0.56	12.34	5.04	2.35
ერიტროციტი $\times 10^{12}/l$	107	3.10	6.10	4.82	0.50
თრომბოციტი $\times 10^9/l$	107	200.00	415.00	264.22	40.30
ლეიკოციტი $\times 10^9/l$	107	4.50	10.60	6.97	1.61
ნეიტროფილები %	107	44.40	91.00	61.43	7.42
ჩხირი %	107	1.00	11.20	4.21	2.35
სეგმენტი %	107	44.00	69.00	56.95	5.97
ეოზინოფილები %	107	1.00	4.00	2.5421	0.86
ლიმფოციტები %	107	19.00	45.10	31.47	5.28
მონოციტები %	107	1.90	11.00	6.9019	1.76

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკვლევ პოპულაციაში სისხლის საერთო ანალიზის საშუალო მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია. ინტერესს იწვევს ჰემატოლოგიური ინდექსების მნიშვნელობები ახალგაზრდებში გიდ-ის დროს(ცხრილი).



ცხრილი 3.4.2. ჰემატოლოგიური ინდექსების მნიშვნელობები ახალგაზრდებში გიდ-ის დროს

	Min.	Max.	Mean	Std. Deviation
NLR	0.98	3.74	1.83	0.58
MLR	0.04	0.42	0.23	0.08
PLR	66.45	211.47	128.64	33.78
LII	0.36	1.36	0.75	0.24

ინტერესს იწვევს ჰემატოლოგიური ინდექსების და სხვა ლაბორატორიული მახასიათებლების კავშირის დადგენა ფატალური კარდიოვასკულარული რისკის შეფასებასთან.

კორელაციური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი 3.4.3-ში

ცხრილი 3.4.3. კავშირი ფატალური კარდიოვასკულარული რისკის შეფასებასა და ლაბორატორიულ მახასიათებლებს შორის

	p	ფატალური კარდიოვასკულარული დაავადების/შემთხვევის 10 წლიანი რისკის შეფასება SCORE-ით
დაავადების მანიფესტაციის ასაკი	r	0.239 <sup>*</sup>
	p	0.013
შრატის კრეატინინი -mmol/l	r	0.327 <sup>**</sup>
	p	0.010
ნეიტროფილები%	r	0.139
	p	0.153
ჩხირბირთვიანი ნეიტროფილები%	r	0.502 <sup>**</sup>
	p	0.000
სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილები %	r	-0.064
	p	0.514
ეოზინოფილები %	r	0.206 <sup>*</sup>
	p	0.033
ლიმფოციტები %	r	0.201 <sup>*</sup>

	p	0.038
მონოციტები %	r	-0.267**
	p	0.005
NLR	r	-0.571**
	p	0.000
MLR	r	-0.314**
	p	0.001
PLR	r	0.211*
	p	0.029
LII	r	-0.167
	p	0.086

SCORE-ს მიხედვით ფატალური კარდიო ვასკულური დაავადების/შემთხვევის 10 წლიანი რისკის შეფასებასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებენ შემდეგი ფაქტორები: დაავადების მანიფესტაციის ასაკი -  $r=0.239^*$ ,  $p=0.013$ ; შრატის კრეატინინი -  $r=0.327^{**}$ ,  $p=0.010$ ; ჩხირბირთვიანი ნეიტროფილები% -  $r=0.502^{**}$ ,  $p=0.000$ ; ეოზინოფილები % -  $r=0.206^*$ ,  $p=0.033$ ; ლიმფოციტები % -  $r=0.201^*$ ,  $p=0.038$ ; PLR -  $r=0.211^*$ ,  $p=0.029$ ; ხოლო სარწმუნო უარყოფით კორელაციას კი - მონოციტები % -  $r=-0.267^{**}$ ,  $p=0.005$ ; NLR -  $r=-0.571^{**}$ ,  $p=0.000$ ; MLR -  $r=-0.314^{**}$ ,  $p=0.001$ ;

### 3.5. გულის იშემიური დაავადებების პრედიქტორთა შეფასება საქართველოს ახალგაზრდა მოსახლეობაში

გულ სისხლძარღვთ დაავადებების მკურნალობისა და პრევენციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პაციენტთა რისკ-ჯგუფებში სტრატეფიკაციას, რამდენადაც ის იძლევა საშუალებას თავიდან ავიცილოთ ზედმეტი დიაგნოსტიკური კვლევები და შევამციროთ სამედიცინო ხარჯები. პაციენტზე მოქმედი ფაქტორების შეფასება გულის იშემიური დაავადების მქონე პირებსა და საკონტროლო ჯგუფს შორის მოცემულია 3.5.1. ცხრილში

**ცხრილი 3.5.1.** პაციენტზე მოქმედი ფაქტორების შეფასება გულის იშემიური დაავადების მქონე პირებსა და საკონტროლო ჯგუფს შორის

ფაქტორები		გიდიოთ, N=107	გიდ-ის გარემო, N=199	F	P
		n(%)	n(%)		
სქესი	ქალი	12(11.21)	101(50.75)	61.68	<0.0001
	კაცი	95(88.79)	98(49.25)	54.76	<0.0001
მავნე ჩვევები	ალკოჰოლის ხშირი მომხმარება	42(39.25)	63(31.66)	1.78	0.1833
	მოწევა	63(58.88)	119(59.80)	0.02	0.8762
	ჰიპოდინამია	51(47.66)	57(28.64)	11.36	0.0008
	გაჯერებული ცხიმების ჭარბი მიღება	52(48.60)	50(25.13)	18.16	<0.0001
	ძილის დარღვევა	19(17.76)	3(1.51)	30.06	<0.0001
	ჯანსაღი კვების რეჟიმი	12(11.21)	90(45.23)	40.82	<0.0001
საცხოვრ ებელი ადგილი	ქალაქი	41(38.32)	25(12.56)	29.76	<0.0001
	სიმსუქნე	56(52.34)	31(15.58)	54.07	<0.0001
	დისლიპიდემია	45(42.06)	58(29.15)	5.25	0.0226
	კუჭ-ნაწლავის ტრაქტი	8(7.48)	22(11.06)	1.004	0.3170

თანმხლები დაავადებები	ფარისებრი ჯირკვალი	4(3.74)	12(6.03)	0.73	0.3921
	თირკმლის დაავადება	2(1.87)	0(0.00)	3.77	0.0532
	რესპირაციული დაავადებები	10(9.35)	24(12.06)	0.52	0.4728
	ჰიპერტენზია	70(65.42)	26(13.07)	123.87	<0.0001
	შაქრიანი დიაბეტი	12(11.21)	11(5.53)	3.25	0.0724
	ნევროლოგიური დარღვევები	19(17.76)	6(3.02)	21.44	<0.0001
	ქრონიკული ინფექციები	21(19.63)	15(7.54)	10.05	0.0017
სოციალურ ეკონომიკური ფაქტორები	გაუთხოვარი	88(82.24)	34(17.09)	204.96	<0.0001
	განქორწინებული ან ქვრივი	17(15.89)	64(32.16)	9.71	0.0020
	ქორწინებაში	2(1.87)	101(50.75)	97.78	<0.0001
	არადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური პირობები	5(4.67)	40(20.10)	13.71	0.0003
	უმუშევარი	21(19.63)	11(5.53)	15.42	<0.0001
საცხოვრებელი გარემოს	მავნე საწარმოს მახლობლად ცხოვრება	5(4.67)	0(0.00)	9.69	0.0020

ფაქტორები	მაღალი ძაბვის, სატელევიზიო ან სატელეფონო ანძის მახლობლად ცხოვრება	10(9.35)	8(4.02)	3.58	0.0593
სამუშაო პირობები	სამრეწველო მტვერი	5(4.67)	4(2.01)	1.73	0.1898
	ვიბრაცია	37(34.58)	9(4.52)	58.27	<0.0001
	სამრეწველო შხამები	6(5.61)	8(4.02)	0.40	0.5278
	სტრესული სამუშაო	39(36.45)	5(2.51)	82.14	<0.0001
	მაიონებელი გამოსხივების გავლენა	4(3.74)	18(9.05)	2.95	0.0871
	ღამის ცვლა	21(19.63)	5(2.51)	28.48	<0.0001
	ელექტრომაგნიტური გამოსხივება	21(19.63)	4(2.01)	31.56	<0.0001
	მძიმე ფიზიკური სამუშაო	21(19.63)	7(3.52)	23.23	<0.0001
გენეტიკური დატვირთვა	იშემიური დაავადების ადრეული გამოვლენა I-II ხარისხის ნათესავებში	59(55.14)	7(3.52)	169.69	<0.0001

სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა პაციენტზე მოქმედი ფაქტორების განსხვავება გულის იშემიური დაავადების მქონე პირებსა და საკონტროლო ჯგუფში. გულის იშემიური დაავადებების მქონე ახალგაზრდა პაციენტებში სარწმუნოდ მაღალია შემდეგი ფაქტორების სიხშირე: მამაკაცი, ქალაქში მცხოვრები, მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედება, დაუქორწინებელი, უმუშევარი. კომორბიდებს შორის სარწმუნოდ მაღალია სიმსუქნე, დისლიპიდემია, ჰიპერტენზია, ნევროლოგიური დარღვევები, ქრონიკული ინფექციები. სამუშაოსთან დაკავშირებულ ფაქტორებს შორის მაღალი სიხშირით გამოირჩევა - მიძიმე ფიზიკური მუშაობა, ვიბრაცია, ღამის ცვლა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სტრესული სამუშაო. მავნე ჩვევებს შორის კონტროლთან შედარებით სარწმუნოდ მაღალი სიხშირით გამოირჩევა ჰიპოდინამია, ნაჯერი ცხიმების ჭარბი მიღება, ძილის დარღვევა. გენეტიკური ფაქტორი (იშემიური I ხარისხის ნათესავების ადრეული გამოვლენა) ასევე ხასიათდება სარწმუნოდ მაღალი სიხშირით.

ფაქტორების სიხშირეები: არადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური პირობები, ქორწინებაში მყოფი, განქორწინებული ან ქვრივი - მაღალია საკონტროლო ჯგუფში.

**3.6. გულის იშემიური დაავადებების პროგნოზირება საქართველოს ახალგაზრდა მოსახლეობაში**

რეგრესიული ანალიზით დავადგინეთ ახალგაზრდა ასაკში გიდ-ის განვითარების რისკის ფაქტორები და ფარდობითი შანსი (ცხრილი 3.6.1):

ცხრილი 3.6.1. ახალგაზრდა ასაკში გიდ-ის გამოვლენის ფარდობითი შანსი

	p	OR	95% C.I. for OR	
ქალთა სქესი	0.0170	0.14	0.03	0.70
დაოჯახებული	<0.0001	0.01	0.00	0.08
ქალაქში ცხოვრება	0.0250	6.90	1.28	37.18
ძილის დარღვევა	0.0030	45.62	3.52	590.64

სიმსუქნე	<0.0001	24.56	4.14	145.66
ჰიპერტენზია	<0.0001	40.76	8.07	205.92
ნაჯერი ცხიმების ჭარბი მიღება	<0.0001	79.94	10.93	584.43
ღამის ცვლაში მუშაობ	<0.0001	39.01	3.75	405.75
იშემიური დაავადების ადრეული გამოვლენა I-II ხარისხის ნათესავებში	<0.0001	44.22	8.07	242.17
Constant	<0.0001	0.00		

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებში გულის იშემიური დაავადების რისკს ზრდის: ქალაქში ცხოვრება, ძილის დარღვევა, ჭარბი წონა, ნაჯერ ცხიმების ჭარბი მიღება, ჰიპერტენზია, გენეტიკური ფაქტორები, სტრესი და სამუშაო პირობებიდან - ღამის ცვლა.

რეგრესიის კოეფიციენტები: ქალის სქესი -  $B = -1.94 + 0.81$ ; დაოჯახებული -  $B = -4.69 + 1.08$ ; ქალაქში მცხოვრები -  $B = 1.93 + 0.86$ ; ძილის დარღვევა -  $B = 3.82 + 1.31$ ; სიმსუქნე -  $B = 3.20 + 0.91$ ; ჰიპერტენზია -  $B = 3.71 + 0.83$ ; ნაჯერი ცხიმების ჭარბი მიღება -  $B = 4.38 + 1.02$ ; ღამის ცვლაში მუშაობა -  $B = 3.66 + 1.20$ ; გულის იშემიური დაავადების ადრეული გამოვლენა I-II ხარისხის ნათესავებში -  $B = 3.79 + 0.87$ . რეგრესიის მუდმივა - Constant =  $-13.65 + 3.13$

რისკის შეფასება შეიძლება შემდეგნაირად: პროგნოზირება შეიძლება გაკეთდეს ლოგისტიკური რეგრესიის განტოლების გამოყენებით, რომელსაც აქვს შემდეგი ფორმა:

$$Z = -13.65 - 1.94 \cdot X_1 - 4.69 \cdot X_2 + 1.93 \cdot X_3 + 3.82 \cdot X_4 + 3.20 \cdot X_5 + 3.71 \cdot X_6 + 4.38 \cdot X_7 + 3.66 \cdot X_8 + 3.79 \cdot X_9 \quad (1)$$

სადაც X არის ფაქტორის მნიშვნელობა. ფაქტორის არსებობისას იგი 1-ის ტოლია, ხოლო არარსებობისას - 0 ტოლი, P არის დაავადების განვითარების ალბათობა. მკურნალობის შედეგის პროგნოზირებისთვის, განისაზღვრება პროგნოზული ფაქტორის არსებობა, თუ სუბიექტს აქვს პროგნოზული ნიშანი, რეგრესიის განტოლებაში ჩავსვით 1, თუ არა - 0. შედეგებს ვკრიბავთ და ჩავსვამთ ფორმულაში (2):

$$P=1/1+e^{-z} \quad (2)$$

შედეგად, ჩვენ ვიღებთ გულის იშემიური დაავადების ალბათობას კონკრეტული პაციენტისთვის მისი პროგნოზული მახასიათებლების შესაბამისად.

### დასკვნები:

1. გიდ-ით დაავადებულთა 21,6%-ში, პირველი ხარისხის ნათესავებს შორის დაფიქსირდა გულის იშემიური დაავადების ადრეული გამოვლენა (45 წლამდე ასაკში). გიდის განვითარების ფარდობითი რისკი სისხლის 0 ჯგუფის დროს იზრდება - ყველა სხვა ჯგუფებთან შედარებით შეადგენს RR=2.68(95% CI:1.75-4.09),  $p<0.001$ , ხოლო A ჯგუფთან შედარებით - RR=2.24(95% CI:1.45-3.46)

გულ - სისხლძარღვთა დაავადებების ფატალური გამოსავლის 10 – წლიანი რისკი(SCORE–ს მიხედვით) სარწმუნოდ მაღალია 0 ჯგუფის მქონე პაციენტებში, ვიდრე A ჯგუფში( $p<0.001$ ).

2. 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში გიდ-ით დაავადებულ პაციენტებში, საკონტროლოსთან შედრებით სარწმუნოდ არის მომატებული (TC-HDL)/HDL, TC-HDL, TG/HDL და LDL/HDL.

(TC-HDL)/HDL - ზღვრული მნიშვნელობით Cut of =2.29 ხასიათდება კარგი მგრძნობელობით და დამაკმაყოფილებელი სპეციფიურობით; TG/HDL - ზღვრული მნიშვნელობით Cut of = 2.76, ხასიათდება ცუდი მგრძნობელობით და ძალიან კარგი სპეციფიკურობით; LDL/HDL - ზღვრული მნიშვნელობით Cut of = 2.17 დამაკმაყოფილებელი მგრძნობელობით და კარგი სპეციფიკურობით, non-HDL ტესტი - ზღვრული მნიშვნელობით Cut of =2.89, ხასიათდება ძალიან კარგი მგრძნობელობით და დაბალი სპეციფიურობით, დაბალი დადებითი



შედეგის პროგნოზული ღირებულებით და ძალიან კარგი უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულებით, ხოლო დიაგნოსტიკური სიზუსტე დამაკმაყოფილებელია.

3. გულის იშემიური დაავადებების მქონე 45 წლამდე ასაკის ქართულ პოპულაციაში სარწმუნოდ მაღალია შემდეგი ფაქტორების სიხშირე: მამრობითი სქესი, გენეტიკური ფაქტორი (იშემიური I ხარისხის ნათესავების ადრეული გამოვლენა); კომორბიდებს შორის სარწმუნოდ მაღალია სიმსუქნე, დისლიპიდემია, ჰიპერტენზია, ნევროლოგიური დარღვევები, მავნე ჩვევებს შორის კონტროლთან შედარებით სარწმუნოდ მაღალი სიხშირით გამოირჩევა ჰიპოდინამია, ნაჯერი ცხიმების ჭარბი მიღება; სოციალური ფაქტორებიდან - დაუქორწინებლობა, უმუშევრობა. ქალაქში ცხოვრება, ქრონიკული ინფექციები. სამუშაოსთან დაკავშირებულ ფაქტორებს შორის მაღალი სიხშირით გამოირჩევა - მძიმე ფიზიკური მუშაობა, ღამის ცვლა, სტრესული სამუშაო. მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედება - ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, ძილის დარღვევა. ხოლო ფაქტორების სიხშირეები: არადადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური პირობები, ქორწინებაში მყოფი, განქორწინებული ან ქვრივი - მაღალია საკონტროლო ჯგუფში.
4. ახალგაზრდა ასაკში გიდის განვითარების ფარდობით შანსს ზრდის: ქალაქში ცხოვრება; ძილის დარღვევა; სიმსუქნე; ჰიპერტენზია; ნაჯერი ცხიმების ჭარბი მიღება; ღამის ცვლაში მუშაობა; იშემიური დაავადების ადრეული გამოვლენა I-II ხარისხის ნათესავებში; ამცირებს ქალთა სქესი და დაოჯახებულის სტატუსი;
5. SCORE-ს მიხედვით ფატალური კარდიო ვასკულარული დაავადების/შემთხვევის 10 წლიანი რისკის შეფასებასთან სარწმუნოდ დადებით კორელაციას ამჟღავნებენ შემდეგი ფაქტორები: დაავადების მანიფესტაციის ასაკი; შრატის კრეატინინი ; ჩხირბირთვიანი ნეიტროფილები%; ეოზინოფილები %; ლიმფოციტები %; PLR - თრომბოციტურ-ლიმფოციტური ფარდობა; ხოლო სარწმუნოდ უარყოფით კორელაციას კი - მონოციტები % ; NLR - ნეიტროფილურ-ლიმფოციტური ფარდობა; MLR - მონოციტურ-ლიმფოციტური ფარდობა;
6. შემუშავდა ახალგაზრდა ასაკში გულის იშემიური დაავადების რისკის პროგნოზირების სისტემა ქართული პოპულაციისათვის.

### **პრაქტიკული რეკომენდაციები:**

- 0 ჯგუფის სისხლის მქონე პირებში მომატებულია გულსისხლძარღვთა დაავადებების ფატალური რისკი ახალგაზრდა ქართულ პოპულაციაში.
- გიდის დროს სისხლის ჯგუფების შესწავლა ხელს შეუწყობს დაავადების პროგნოზული ფაქტორების გარკვევას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გლობალური ტვირთის შემცირებას.
- გენეტიკური წინასწარგანწყობის მქონე პირები უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა ასაკში გიდ-ის განვითარების რისკის ჯგუფად, ფაქტორების არსებობისას, რეკომენდებულია ჩატარდეს რისკის პროგნოზირება;
- რისკის ჯგუფში რეკომენდებულია მართვადი ფაქტორების გამოვლენა და პრევენციული ღონისძიებების ჩატარება
- ლიპიდური ინდექსები (TC-HDL )/ HDL, TG / HDL, LDL / HDL და Non-HDL შეიძლება გამოყენებულ იქნას გულის იშემიური დაავადების პირველადი დიაგნოზისთვის 45 წლამდე ქართულ პოპულაციაში, როგორც რისკის დამატებითი მაჩვენებელი.

*As a manuscript*

